ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3110714

ნომერი: AR1476830

თარიღი : 08.02.2017

გაცემის თარიღი : 28.02.2017

გაცნობის თარიღი : 28.02.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ქუჩისა და ინტენსიფიკაციის გზას შორის., ნაკვეთი 01/295 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვასილი ჯალაღონია პ/ნ 62001000952
- სოხუმი, ორჯონიკიძის ქ. 73 ბ.4

ორგანიზაცია:
- შპს ეპიკ ნუცუბიძე კოდი: 401997327

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 13 ოქტომბრის №2890048 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 8 თებერვლის #AR1476830 განცხადებით მომართა ვასილი ჯალაღონიამ, რომელმაც მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 13 ოქტომბრის №2890048 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 13 ოქტომბრის №2890048 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ნუცუბიძის ქუჩისა და ინტენსიფიკაციის გზას შორის, ნაკვ.#01/295, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (კორპუსი #10-ის ბლოკი ,,ა" და ბლოკი ,,ბ") კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 13 ოქტომბრიდან 2018 წლის 13 აპრილის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2016 წლის 13 ოქტომბრის №2890048 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულ იქნა შეცდომა, კერძოდ, არასწორად იქნა მითითებული ავტოსადგომის ფართობი. აღნიშნულიდან გამომდინარე, დღეისათვის, განმცხადებელი ითხოვს გასწორდეს ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2016 წლის 13 ოქტომბრის №2890048 ბრძანებაში და დაფიქსირდეს: ავტოსადგომის ფართობად (კვ.მ).:1515.3. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის ცვლილებამ, ასევე გამოიწვია ბრძანებაში დაფიქსირებული საერთო ფართობის მაჩვენებლის შეცვლა, რომელიც ცვლილებების შედეგად შეადგენს: 13833.2. კვ.მ.–ს.

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურმა დაადგინდა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შესაბამისობაშია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან. გარდა ამისა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ იქნა შესწორებული გეგმა -2.800 ნიშნულზე და გეგმა ±0.000 ნიშნულზე, რომლებიც იდენტურია შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა გაასწოროს დაშვებული ტექნიკური შეცდომა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 13 ოქტომბრის №2890048 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: ავტოსადგომის ფართობად (კვ.მ).: 1515.3 და საერთო ფართობად (კვ.მ).: 13833.2;
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 13 ოქტომბრის №2890048 ბრძანებით შეთანხმებული -2.800 და ±0.000 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს 2017 წლის 8 თებერვლის #AR1476830 განცხადებით წარმოდგენილი -2.800 და ±0.000 ნიშნულების გეგმებით;
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 13 ოქტომბრის №2890048 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.